შუამავლის როლის უარყოფისა ან/და თანხმობის ხელოვნების თავსატეხი, ინდოეთის მაგალითზე

დეა მაღალაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობების, ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები)

მიმართულება: საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ტარიელ სიხარულიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დეა მაღალაშვილი

25.06.2021

მადლობა

მადლობა ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ტარიელ სიხარულიძეს, რომელიც მნიშვნელოვნად დამეხმარა ნაშრომზე მუშაობის პროცესში. იგი თავისი მითითებებითა და შესწორებებით დამეხმარა ნაშრომის სწორად ჩამოყალიბებასა და წარმართვაში. მადლობას ვუხდი მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს და ადმინისტრაციას. მადლობა, ჩემს მეგობრებს, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის კოლეგებს, რომლებმაც, უნივერსიტეტში გატარებული წლები საინტერესო გამოცდილებად აქციეს. და ბოლოს, მსურს მადლობა გადავუხადო ჩემს ოჯახს მუდმივი მხარდაჭერისვის მთელი ჩემი საუნივერსიტეტო კარიერის განმავლობაში.

აბსტრაქტი

ნაშრომი განხილულია ინდოეთის ქცევა, შუამავლთან დამოკიდებულების კუთხით, განსაკუთრებით კი დიდ სახელმწიფოს ჩართულობის მიმართ. აუცილებელია, რომ შესწავლილ იქნას ისტორიული კონტექსტი და მისი გამოცდილება, როგორც მზარდი ძალის. აღნიშნული, მიზნად ისახავს შეისწავლოს ინდოეთი, როგორც ამომავალი მესამე ძალა, რადგან ქცევის მრავალფეროვნებით ხასიათდება და ამავდროულად, ინარჩუნებს მუდმივ თანმიმდევრულობას და არ ცვლის საერთაშორისო პოზიციებს. ინდოეთის პატერნი განსხვავდება სხვა საერთაშორისო ურთერთობის მოთამაშეებისგან. აღსანიშნავია, რომ ინდოეთი საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა დომინანტ მოთამაშეებთან ერთად ქმნის კონტექტს და ვითარდება.

ინდოეთის საგარეო პოლიტიკა საერთაშორისო სივრცეში დიდ გავლენას ახდენს დიდი სახელმწიფოების ინტერესზე. ინდოეთმა შეძლო პოლიტიკური თამაში ეწარმოებინა საერთაშორისო ორგანიზაციებთანაც. მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთს ასევე ახლო ურთიერთობები აქვს დასავლეთთან, მაინც რჩება დამოუკიდებელ აქტორად და მიმართვას მხოლოდ ორმხრივ მოლაპარაკებების გზას.

მედიაცია აღნიშნავს ნეიტრალური მხარის ჩარევას დავის მხარეების დაპირისპირებაში, რომლის მიზანია გამოიყენოს გავლენა კონფლიქტის მოსაგვარებლად.

ინდოეთის გარშემო კონფლიქტები 1947 წლიდან მომდინარეობს, ამავდროულად შეერთებული შტატების შეთავაზებები შუამავლობასთან დაკავშირებით არ არის ახალი. ინდოეთის ისტორიულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ მსგავს ქეისებში მედიაციაზე უკეთ ორმხრივი მოლაპარაკებებია შედეგის განმაპირობებელი. ინდოეთის გარშემო არსებული კონფლიქტი რჩება შიდა პრობლემებად, აღნიშნული გააზრება კი გამომდინარეობს იქიდან, რომ მესამე მხარის როგორც შუამავლის შემთხვევაში შეიძლება ადგილი ქონდეს ინდოეთის არასტრატეგიულ განვითარებას კონფლქიტებში. შეერთებულ შტატების ინტერვენცია კონფლიქტებში შესაძლოა ინდოეთის სტრატეგიული პოზიციების დარღვევის განმაპირობებელი ყოფილიყო.

ნაშრომში მიღებული შედეგები, მათი ინტერპრეტაცია და მნიშვნელობა დეტალურად არის შესწავლილი და აღწერილი. სანდო წყაროებზე დაყრდნობით მსჯელობა ლოგიკური და თანმიმდევრულია. სტრუქტურულად ნაშრომი თავებად და ნაწილებად არის დაყოფილი. ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევა, კერძოდ შემთხვევითი შესწავლის დიზაინი (single case study), რომელიც მოიცავს მკვლევარისთვის ყველა აუცილებელი ხელმისაწდომი თემის შესწავლას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მედიაცია, ინდოეთი, ამერიკის შეერთებული შტატები.

Abstract

The paper discusses the behavior of India, in terms of its relationship with the mediator as Great Power. Proper research on the background of the historical context should be made and its experience as a growing force. This aims to explore India as a rising power, because it is characterized by diversity of behavior and at the same time maintains consistent and does not change international positions. Pattern of India is different from other international relations players. It is noteworthy that India, together with various dominant players in foreign policy, is creating a context and evolving.

India's foreign policy has influence on the interests of the Great Powers in the international arena. India was able to play a political game with International Organizations as well. Although, India has close relations with the West, but it still remains an independent actor and addresses only the path of bilateral negotiations.

Mediation refers to the involvement of a neutral party in the conflict of the disputes with the aim of using influence to resolve the conflict.

Since 1947, conflicts around India have been developing, at the same time the United States' mediation offers are not new. The historical experience of India has shown that bilateral negotiations are better than third party mediation. The conflict around India remains an intrastate problem, this understanding stems from the fact that in the case of a third party as a mediator, India's non-strategic development into conflicts can take place. U.S. intervention in the conflicts may have led to a breach of India's strategic positions.

The results obtained in the paper, interpretation, also, significance is studied and described in details. Reasoning based on credible sources is logical and consistent. Structurally the work is divided into chapters and parts. The paper uses qualitative research, in particular the design of a single case study, which includes the study of all the necessary topics available to the researcher.

Key Words: Mediation, India, US.